ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 26

ქ.გორი „24“ „მაისი“ 2018 წელი

ერთის მხრივ სსიპ გორის N 12 საჯარო სკოლა (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის რუსუდან ლომიძის სახით და მეორეს მხრივ, ფ/პ დავით ქიტიაშვილი პირადი N 59001024582 (შემდგომში – მიმწოდებელი) სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია სსიპ ქალაქ გორის N 12 საჯარო სკოლის საკუთარი სახსრებით, მონიტორული ზღვრების დაცვით. მუსიკალური ინსტრუმენტების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება (CPV კოდი 50800000) შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 ხელშეკრულების ობიექტია: სკოლაში არსებული პიანინოების შეკეთება.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 125,00 (ასოცდახუთი) ლარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების ჩათვლით.

2.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას/მომსახურებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს მაღალხარისხიანი მომსახურება.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 24 მაისის ჩათვლით უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება ან/ და მომსახურება.

5. შესყიდვის ობიქტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი სსიპ გორის N 12 საჯარო სკოლის მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი დავით კოლოტაშვილი.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მომსახურების მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

6.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული ხელშეკრულების ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

-მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული ხელშეკრულების ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.5 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

8.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.02 %-ს.

8.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრის ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2018 წლის 29 ივნისის ჩათვლით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ,

ლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ობიექტის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მისი შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირები.

13.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული ხელშეკრულების ობიექტის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ გორის # 12 საჯარო სკოლა	ფ/პ. დავით ქიტიაშვილი
მისამართი: ქ. გორი, ნინოშვილის ქ. N 54;	მისამართი: ქ. გორი, გარსევანიშვილის N 1 ,
ბანკი: სს ,,ლიბერთი ბანკი"	ბანკი: სს ,,ლიბერთი"
ბანკის კოდი: LBRTGE22;	ბანკის კოდი: LBRTGE22;
ანგ. N GE82LB0121141252767000	ანგ. N GE26LB0711150566973000;
ს/კოდი: 218016769	ს/კოდი: 59001024582
დირექტორი	ფ/პირი
რუსუდან ლომაძე	დავით ქიტიაშვილი

ხელწერილი

(ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ)

ქ. გორი 24 მაისი 2018 წ.

ჩვენ, მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე პირები ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ მუსიკალური ინსტრუმენტების შეკეთება და ტექნიკური მომსახურების გამარტივებული შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების" შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესაბამისად, ფ/პ. დავით ქიტიაშვილის მიმართ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

საჯარო სკოლის დირექტორი /რ. ლომიძე/

მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე პირი: /დ. კოლოტაშვილი/

LEPL - Gori Public School No 12 * 218016769 *

ს.ს.ი.პ. ქალაქ გორის № 12 საჯარო სკოლას და ფ/პ დავით ქიტიაშვილს შორის 2018 წლის 24 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად სამუშაოების შესრულებისა ან/და საქონლის მიწოდების

საბოლოო
მიღება – ჩაბარების
აქტი

ქ. გორი 24 მაისი 2018 წ

ს.ს.ი.პ. ქალაქ გორის № 12 საჯარო სკოლას და ფ/პ დავით ქიტიაშვილს შორის 2018 წლის 24 მაისს გაფორმებული № 26 - ე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ „დამქირავებელი" ს.ს.ი.პ. ქალაქ გორის № 12 საჯარო სკოლა მისი წარმომადგენლის რუსუდან ლომიძის სახით და მეორეს მხრივ „დაქირავებული" ფ/პ დავით ქიტიაშვილის სახით, ხელს ვაწერთ აქტს მასზედ, რომ ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაში მითითებული სამუშაოები შესრულებულია.

2018 წლის 24 მაისსს დადებული ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრულმა შესრულებულმა სამუშაომ

შეადგინა: 125.00 (ასოცდახუთი) ლარი

მიიღო
„დამქირავებელი"

რუსუდან ლომიძე

ჩააბარა
„ დაქირავებული"

დავით ქიტიაშვილი

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

ლიბერთი ბანკი

საგადახდო დავალება #: 70

თარიღი: 2018 წლის 24 05, ხუთშაბათი

გადამხდელის დასახელება:	სსიპ ქალაქ გორის #12 საჯარო სკოლა
ანგარიში (დებეტი):	GE82LB0121141252767000
გადამხდელის ბანკი:	სს "ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი:	LBRTGE22
გადასახადის გადამხდელის დასახელება:	
საიდენტიფიკაციო კოდი:	
საბიუჯეტო შემოსავლის კოდი:	
მიმღების დასახელება:	დავით ქიტიაშვილი
საიდენტიფიკაციო კოდი:	59001024582
ანგარიში (კრედიტი):	GE26LB0711150566973000
მიმღების ბანკი:	ქ.ხაშური, სს "ლიბერთი ბანკის" ხაშურის ფილიალი
ბანკის კოდი:	220101435
გადახდის დანიშნულება:	პიანინოების აწუობის ღირებულება

ხელმოწერა: _____

ბ.ა.

დოკუმენტი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან

GEL

GEL

100.00

თანხა სიტყვიერად

ასი GEL და 00

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 24.05.2018

ხელმოწერა: _____

ლიბერთი ბანკი LIBERTY BANK

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

ლიბერთი ბანკი

საგადახდო დავალება #:	71
თარიღი:	2018 წლის 24 05, ხუთშაბათი
გადამხდელის დასახელება:	სსიპ ქალაქ გორის #12 საჯარო სკოლა
ანგარიში (დებეტი):	GE82LB0121141252767000
გადამხდელის ბანკი:	სს "ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი:	LBRTGE22
გადასახადის გადამხდელის დასახელება:	
საიდენტიფიკაციო კოდი:	
საბიუჯეტო შემოსავლის კოდი:	101001000 გადასახადები - გადასახადების ერთიანი კოდი
მიმღების დასახელება:	სახელმწიფო ხაზინა
საიდენტიფიკაციო კოდი:	
ანგარიში (კრედიტი):	200122900
მიმღების ბანკი:	ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური
ბანკის კოდი:	TRESGE22
გადახდის დანიშნულება:	მომსახურების ანაზღაურებიდან დაკავებული საშემოსავლო

ხელმოწერა: _____

ბ.ა.

GEL

GEL

25.00

თანხა სიტყვიერად

ოცდახუთი GEL და 00

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 24.05.2018

ხელმოწერა: _____

ლიბერთი ბანკი LIBERTY BANK

დოკუმენტი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან